

თბილისის პირველადი ჯანდაცვის განვითარება 2011-2013

მომზადებულია საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა
კავშირის მიერ



შინაარსი

- ▶ არსებული სიტუაცია - სექტორში არსებული სისტემური პრობლემები
- ▶ პირველადი ჯანდაცვის სისტემის მოწყობა და რეფორმის მოსალოდნელი შედეგები



როგორი პჯდ გვინდა თბილისისათვის

- ხელმისაწვდომი - ფინანსურად, გეოგრაფიულად
- ხარისხიანი
 - მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები
 - მომსახურების პაკეტი ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი
- სრულდება პაციენტზე/თემზე ორიენტაციის პრინციპები
- მომსახურების უწყვეტობა
- პაციენტი კმაყოფილია ამ მომსახურებით.
- მაკოორდინირებელი - მოქმედებს სპეციალიტების სამსახურებთან რეფერალისა და უკურეფერალის სისტემა.

ძირითადი გამოწვევები

- ▶ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს საშუალება გადაიხადოს სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ღირებულება (ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა).
- ▶ არსებობს ხარისხიან ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზე ფიზიკური (გეოგრაფიული) ხელმისაწვდომობის პრობლემა.
- ▶ მოსახლეობის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, რაც უმთავრესად სიცოცხლის სავარაუდო საშუალო ხანგრძლივობის შემცირებით, მოკვდაობის გაზრდით, გარდაცვალების ძირითად მიზეზთა სტრუქტურით, ასევე, დაავადებათა თითქმის ყველა ძირითადი კლასის მიხედვით, დაავადებიაობისა და ავადობის მომატებით გამოიხატა.

ჯანდაცვის რეფორმის კონტექსტი

- ▶ სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაცია
- ▶ კერძო სადაზღვევო სისტემების განვითარება
- ▶ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების გაძლიერება
- ▶ პაციენტის უფლებების დაცვა
- ▶ მართვის ფუნქციების გაუმჯობესება (მ.შ. საინფორმაციო სისტემების განვითარება)

თბილისის პჯდ განვითარების ოპტიმალური მოდელები

რეფორმირებული პირველადი ჯანდაცვა უნდა
აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ❑ ადექვატური ინფრასტრუქტურა
- ❑ კომპეტენტური პერსონალი
- ❑ შესაფერისი ორგანიზაციული მოწყობა

პაციენტის ჯანმრთელობის საჭიროებების დაკმაყოფილება და
უკეთესი კლინიკური გამოსავლები

პჯდ ობიექტების ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებები

საინვესტიციო პროექტების განხორციელება - პრინციპები:

- ❑ განხილული უნდა იყოს სხვადასხვა საპრივატიზაციო მოდელები, რომელიც გაზრდის ბაზრის დივერსიფიცირების შესაძლებლობებს
- ❑ შეამცირებს სადაზღვევო/ფარმაცევტული კომპანიების მიერ ბაზრის სეგმენტების პრივატიზაციის, მონოპოლიზაციისა და არაჯანსაღი კონკურენციის აღმოცენების რისკებს.

საინვესტიციო პროექტების განხორციელების პრინციპები

- კონკურსი გამოცხადდეს ისეთი პირობებით, სადაც საჭირო არ იქნება დიდი ინვესტიციები (არ დააფრთხობს ინვესტორებს).

საპრივატიზაციო პირობების და დასატვირთი ვალდებულებების მომზადების პროცესში, რაიონული დაყოფის ნაცვლად, წინადადებების შემუშავება /პჯდ მომსახურების განვითარება მოხდეს უბნობრივ/სათემო დონეზე ანუ თბილისი დაიყოს ზონებად მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (ზომით 30000-50000 მოსახლე, რაც საშუალებას მისცემს როგორც კოლექტივს, ასევე სხვა ინვესტორს მაქსიმალურად განავითაროს პჯდ სერვისები)

საინვესტიციო პროექტების განხორციელების პრინციპები

- ❑ საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას განხილულ იქნას ქონების გადაცემა სიმბოლურ ფასად ვალდებულებების განსაზღვრით, ან იჯარა-გამოსყიდვით, უსასყიდლოდ გადაცემა და/ან ნორმატიული ფასებით შესყიდვა.
- ❑ საინვესტიციო პროექტების პირობების გამოცხადებისას აუცილებელ პირობად განისაზღვროს სახელმწიფო პროგრამების მიღმა დარჩენილი მოსახლეობისათვის პჯდ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ❑ ჰოსპიტალური სექტორის განვითარების სახელმწიფო პროგრამის წარმატებული განხორციელება (ძირითადი ინდიკატორებია - ხარისხიანი და ფინანსურად მისაღები), შესაბამისად, ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურეობის სიმძლავრეების განვითარება აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებას მეორე და მესამე დონის მომსახურებაზე.



საინვესტიციო პროექტების განხორციელების პრინციპები

- ❑ შესაძლებელია, 4-5 დიაგნოსტიკური მაღალტექნოლოგიური ცენტრისათვის ცალკე შემუშავდეს საინვესტიციო კომერციული, მომგებიანი პროექტები, რომელიც ორგანიზაციულად და ფინანსურად განიხილება პჯდ-საგან დამოუკიდებლად, როგორც რეფერალური დონე.
- ❑ საპრივატიზაციო პირობების (აუქციონის) მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღოს ჯანდაცვის სამინისტროს პირველადი ჯანდაცვის განვითარების საკოორდინაციო საბჭომ (რომლებშიც ასევე გაერთიანებულია პჯდ-ის არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლები)



საინვესტიციო პროექტების ვარიანტები



საინვესტიციო პროექტების ვარიანტები

□ პჯდ ობიექტების პრივატიზაცია

(ა) პროფილის შენარჩუნებით
ან

(ბ) პროფილის შენარჩუნება არ წარმოადგენს პირობას პრივატიზაციისთვის. საწარმოს მომავალ საქმიანობას განსაზღვრავს ინვესტორი.

□ პჯდ ობიექტების რეაბილიტაცია

□ სხვა ვარიანტები შემუშავდება სამუშაო რეჟიმში



პუდ ობიექტების პრივატიზაცია
პროფილის შენარჩუნებით

ვარიანტი I



მოსალოდნელი შედეგები

- ▶ შესაძლებელია პჯდ ობიექტები პრივატიზაცია სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებზე პირდაპირი მიყიდვის ან სხვა ფორმით, რაც გაზრდის რეფორმის ღონისძიებებით სამედიცინო პერსონალის კმაყოფილებას.
- ▶ მცირდება სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანიების მიერ ბაზრის სეგმენტების პრივატიზაციის, მონოპოლიზაციისა და არაჯანსაღი კონკურენციის აღმოცენების რისკი.

იზრდება პირველადი ჯანდაცვის სწორად განვითარების შესაძლებლობები

რაც გულისხმობს მოსახლეობის საჭიროებების შესაფერის მომსახურებას სწორ ადგილას და სწორ დროს



რისკები

- ▶ არსებობს სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის მიერ პჯდ ობიექტის ფიზიკური ინფრასტრუქტურის განახლების რისკი, თუ ამ მიზნით არ ამოქმედდება შეღავათიანი სესხების ან გრანტების გაცემის მექანიზმები.



პროექტის განხორციელების გზები (1)

- ▶ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ პირებზე თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა ხელმისაწვდომ ფასად გარკვეული (წინასწარ შეთანხმებული, კონკრეტული დაწესებულებისათვის სპეციფიური) პირობებით
- ▶ პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხების მოზიდვა
- ▶ ობიექტის რეაბილიტაცია
- ▶ ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციისათვის კრიტერიუმების შემუშავება და განახლებული დაწესებულებების შესაფერისი პერსონალით დაკომპლექტება



პროექტის განხორციელების გზები (2)

- ▶ კავშირების დამყარება პირველად ჯანდაცვასა და სამედიცინო მომსახურების სხვა დონეებს შორის (რეფერალი-უკურეფერალი).
- ▶ ახალი საინფორმაციო სისტემების ჩამოყალიბება და პჯდ საინფორმაციო სისტემის ინფრასტრუქტურის - კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფისა და შესაბამისი ადამიანური რესურსის განვითარება;
- ▶ სამედიცინო მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სისტემის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კლინიკური სახელმძღვანელოების და სტანდარტების დანერგვის, სამედიცინო აუდიტის, კოლეგიალური მიმოხილვისა და ხარისხის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებას.



პროექტის განხორციელების გზები (3)

- ▶ საზოგადოების ცოდნის ამაღლება და მისი მონაწილეობა-ჩართვა ხელმისაწვდომი და საჭიროებების შესაბამის, თემზე დაფუძნებულ ჯანმრთელობის დამკვიდრების, პრევენციული აქტივობებისა და ბინაზე/თემში მოვლის და სერვისების მიწოდების მხარდაჭერაში

(სოციალური მარკეტინგის ჩატარება, მასმედიის და საოჯახო მედიცინის პოპულარიზაციის სხვა ინსტრუმენტების ჩართვა და სხვ.)

- ▶ პირველადი ჯანდაცვის უტილიზაციის გაზრდა



პროექტის განხორციელების გზები (4)

ჯანმრთელობის დამკვიდრებისა და დაავადებათა პრევენციის შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ▶ იმუნიზაცია ბავშვებსა და მოზრდილებში
- ▶ ბავშვთა ფსიქო-მოტორული განვითარების შეფასება
- ▶ ჯანმრთელობის დამკვიდრების პროგრამები (თამბაქოს მოწევა, ფიზიკური აქტივობა, დაბალანსებული კვება, ალკოჰოლი)
- ▶ ჯანმრთელ პირთა და ახალ პაციენტთა შეფასება და სამედიცინო მეთვალყურეობა
- ▶ ხანდაზმულთა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობა
- ▶ რეპროდუქციული ასაკის ქალთა ჯანმრთელობის დამკვიდრება (არასასურველი ორსულობის პრევენცია და ოჯახის დაგეგმვა)
- ▶ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია
- ▶ ორსულთა სამედიცინო მეთვალყურეობა
- ▶ მოზარდთა ჯანმრთელობის დამკვიდრება
- ▶ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პრევენცია
- ▶ ავთვისებიან სიმსივნეთა პრევენცია (სკრინინგული და საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიური მონაწილეობის გზით)
- ▶ ტრავმატიზმისა და უბედური შემთხვევების პრევენცია (საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიური მონაწილეობის გზით)

პჯდ ობიექტების პრივატიზაცია
პროფილის შენარჩუნებით
კორპორატიული პასუხისმგებლობა
ვარიანტი II



- ▶ ზემოთ წარმოდგენილ პირველ ვარიანტს ემატება პროექტში მონაწილე სხვა სუბიექტების ინტერესები და კორპორატიული პასუხისმგებლობა მერიისა და სახელმწიფოს წინაშე პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.



პროექტში მონაწილე იურიდიული პირები

- ▶ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება
- ▶ რეფერალური ჰოსპიტალი
- ▶ სადაზღვევო კომპანია
- ▶ თვითმართველი ორგანო, რომელსაც გააჩნია კანონით განსაზღვრული ექსკლუზიური ფუნქციები
(“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის "2ს" პუნქტით განსაზღვრული)



პუბლიკური ობიექტების პრივატიზაცია
სხვა ვარიანტები



პჯდ ობიექტების პრივატიზაცია ყველაზე მისაღები ვარიანტი

- ▶ თბილისი დაიყოს 15-20 ლოტად
- ▶ პროფილის შენარჩუნებით პჯდ ობიექტებისათვის პრივატიზაციის ძირითადი მოდელად განხილულ იქნას - საინვესტიციო პროექტების კონკურსი.
- ▶ ინვესტორს განესაზღვროს პჯდ მოდელის განვითარების მკაფიო ვალდებულებები, რაც დაეფუძნება პჯდ აღიარებულ კონცეფციასა და ძირითად პრინციპებს.
- ▶ კონკურსში მონაწილეობა უნდა შეეძლოს ყველა ინვესტორს.
- ▶ შესაძლებელია უპირატესობა მიენიჭოს დაწესებულების პერსონალს, თუ იგი წარადგენს განვითარების რეალურ გეგმას.